

შპს „ენერგოტრანსი“



ენერგოტრანსი

შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი

2010 წლის ანგარიში

შესავალი

შპს „ენერგოტრანსი“ დაარსდა 2002 წელს 12 სექტემბერს. მისი აქციათა 100%-იანი მფლობელია შპს „საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემა“

შპს „ენერგოტრანსის“ მიზანია მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებით უზრუნველყოს ელექტროენერჯის გადაცემა თურქეთის რესპუბლიკაში (ტრანსპორტირება, ტრანზიტი), განახორციელოს ქსელის რეაბილიტაცია და შექმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა უზრუნველყოს ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის საიმედო ფუნქციონირება. საზოგადოების ძირითადი მიზანია მიღებული ლიცენზიებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო-კომერციული საქმიანობის შედეგად მოგების მიღება,


"ენერგოტრანსი" განაგებს 1991-1992 წლებში მშენებლობა შეჩერებულ 500 კვ ელექტროგადამცემ ხაზს "თბილსრესი-სამხრეთ საქართველო-ზესტაფონი", რომლიც მოიცავს 859 ანძას და ფარავს საქართველოს 9 რაიონს. ხაზის სიგრძე 246 კმ-ია, რომლიც სამხრეთის მხრიდან ერთმანეთთან დააკავშირებს "გარდაბნისა" და "დიდი ზესტაფონის" ქვესადგურებს. ასევე, ახალციხის რაიონში იგეგმება 500/400 კვ-იანი ქვესადგურის მშენებლობა, რომელიც ახალი 400კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდება თურქეთის ქვესადგურ "ბორჩხას".

500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი "თბილსრესი-სამხრეთ საქართველო-ზესტაფონის" მთელ სიგრძეზე იგეგმება მეხამრიდი, დამცავი გვარლის ფუნქციით, ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის დაკიდება, რომლის ფუნქცია იქნება ენერგობიექტებიდან ინფორმაციის მიწოდება მთავარ სადისპეჩეროში. ასევე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის სარელეო დაცვის და ავტომატიკის კომუნიკაციის მოწყობა და არსებული ოპტიკური ქსელის რეზერვირება მთავარ მამგისტრალზე "ზესტაფონი-გარდაბანი".

ზემოთ აღნიშნული თავის მხრივ უზრუნველყოფს:

1. ქვეყნის ენერგოსისტემის მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფას;
2. ძირითადი მაგისტრალური ქსელის მნიშვნელოვნად გაძლიერებას;
3. სამხრეთ საქართველოს რეგიონის ელექტროენერჯით მომარაგების იმედიანობის გაუმჯობესებას;
4. თბილსრესი - ზესტაფონის არსებული 500კვ-იან ქსელზე მოსალოდნელი ავარიული გამორთვებით ქვეყნის დედაქალაქისა და აღმოსავლეთ რეგიონების ელექტრომომარაგებაში გამოწვეული შეფერხებებისა და ზარალის თავიდან აცილებას;
5. ქვეყანაში ზაფხულის პერიოდში ენერგობალანსში ნამეტი ელექტროენერჯის ექსპორტის შესაძლებლობას;
6. ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის განხორციელებას.
7. ელექტროენერჯის კარგების მნიშვნელოვანი შემცირებას.

აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის გარდა "შავი ზღვის ენერგეტიკული განვითარების პროგრამის" - ნაწილი და მის ფარგლებში შპს "ენერგოტრანსი"-ს პარტნიორის - შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" 2010 წლის 12 მარტის #07 გადაწყვეტილების შესაბამისად აპრილიდან კომპანიამ დაიწყო და დაასრულა 500 კვ ეგხ-ს ხაზის რეაბილიტაცია-მშენებლობა ანძა N1-დან ანძა N140-ის ჩათვლით.



**1. „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის საინვესტიციო
ხელშეკრულებების ნუსხა**

ხელი მოეწერა:

1. 2010 წლის 17 მარტს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 80 მლნ ევრო სასესხო ხელშეკრულება; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და შპს „ენერგოტრანს“ შორის საპროექტო ხელშეკრულება შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის შესახებ.
2. 2010 წლის 26 მარტს საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის 80 მლნ ევრო ფინანსური ხელშეკრულება; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა და შპს „ენერგოტრანს“ შორის საპროექტო ხელშეკრულება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების პროექტის შესახებ.
3. 2010 წლის 13 აპრილს საქართველოს, შპს „ენერგოტრანს“ და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის 100 მლნ ევრო სასესხო და დაფინანსების ხელშეკრულება; გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და შპს „ენერგოტრანს“ შორის განსაკუთრებული შეთანხმება შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის შესახებ.

შესაბამისად გაფორმდა 3 ქვესასესხო ხელშეკრულა ფინანსთა სამინისტროს, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და შპს „ენერგოტრანს“ შორის ზემოაღნიშნული დაფინანსებებისათვის 2010 წლის 16 ივლისს.

2. ინფორმაცია „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის მიმდინარეობის შესახებ

„შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის ფარგლებში გამოცხადებული და ჩატარებულ იქნა სამი ტენდერი: 1) A პაკეტი - მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზების მშენებლობა; 2) B პაკეტი - ქვესადგურების მშენებლობა/რეაბილიტაცია და 3) C პაკეტი - მუდმივი დენის ჩანართის მშენებლობა (Back to Back Station).

2.1 A პაკეტი

2010 წლის 26 აპრილს, 12 საათსა და 30 წუთზე ენერგოტრანსის სათაო ოფისში განხორციელდა A პაკეტის სატენდერო წინადადებების გახსნა. რვა კომპანიიდან, რომელთაც მოპოვებული ჰქონდათ ტენდერში მონაწილეობის უფლება, გამოცხადდა მხოლოდ ოთხი: DALEKOVOD JSC (Croatia), KALPATARU Power Transmission Ltd (India), KEC International Limited (India) და SA-RA Energy Construction Trade and Industry Co. Inc. (Turkey). ქვემოთ მოცემულია სატენდერო წინადადებების გახსნისას წარმოდგენილი ფასები (ყველა წინადადება წარმოდგენილია ადგილობრივი გადასახადების გარეშე):

1. DALEKOVOD JSC (Croatia)	- 81,013,930.05 EUR
2. KALPATARU Power Transmission Ltd (India)	- 99,700,000.00 EUR
3. KEC International Limited (India)	- 55,645,018.00 EUR
4. SA-RA Energy Construction Trade and Industry Co. Inc. (Turkey)	- 66,268,115.00 EUR

2010 წლის ივნისის თვეში კონსულტანტის (ფიხტნერის) მიერ წარმოდგენილ იქნა „Evaluation Report“-ი, რომლის მიხედვითაც ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ინდური კომპანია „KEC International Limited“, რომლის დაზუსტებულმა საკონტრაქტო ღირებულებამ შეადგინა 55,632,462.00 ევრო. შესაბამისად, იმავე წლის 05 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება #ET-OHL-01, შპს „ენერგოტრანს“-სა და „KEC International Limited“-ს შორის „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების - მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზების მშენებლობის შესახებ.

კონტრაქტის ეფექტურობის თარიღია 12 აგვისტო 2010 წელი. დასრულების ვადა 2012 წლის ივლისი.

ხელშეკრულების შესაბამისად „KEC International Limited“-ს 2010 წლის 13 აგვისტოს ჩაერიცხა სახელშეკრულებო ღირებულების 20% ავანსის სახით, რაც შეადგენს 11,126,492.4 ევროს.

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულდა 500 კვ ხაზის რეაბილიტაცია #1ანძიდან #39 ანძამდე (10 კმ), რომელიც გადაება 500 კვ ხაზს “მუხრანი“ და წარმოადგენს „ქართლი 1“-ის დამზღვევ ხაზს, რომელიც გამოდის გარდაბნის ქვესადგურიდან და მიდის ქსნის ქვესადგურამდე.

„KEC International Limited“-მა წარმოადგინა პროექტის ნაწილი ახალციხე-ბორჯომის ეროვნული პარკი (ჩათვლით), რომლის განხილვაც და შეთანხმებაც მიმდინარეობს.

2.2. B პაკეტი

2010 წლის 03 მაისს, 12 საათსა და 30 წუთზე ენერგოტრანსის სათაო ოფისში განხორციელდა B პაკეტის სატენდერო წინადადებების გახსნა. სამი კომპანიიდან, რომელთაც მოპოვებული ჰქონდათ ტენდერში მონაწილეობის უფლება, სამივე დაესწრო და მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ ტენდერში: ABB (Sweden), AREVA (Germany) და SIEMENS (Austria). ქვემოთ მოცემულია სატენდერო წინადადებების გახსნისას წარმოდგენილი ფასები (ყველა წინადადება წარმოდგენილია ადგილობრივი გადასახადების გარეშე):

1. ABB (Sweden)	- 41,891,774.00 EUR
2. AREVA (Germany)	- 41,093,202.00 EUR
3. SIEMENS (Austria)	- 25,621,611.01 EUR

2010 წლის ივლისის თვეში კონსულტანტის (ფიხტნერის) მიერ წარმოდგენილ იქნა „Evaluation Report“-ი, რომლის მიხედვითაც ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა კომპანია SIEMENS Austria, რომლის დაზუსტებულმა საკონტრაქტო ღირებულებამ, ალტერნატიული (დამატებით 220 კვ.-ანი ქვესადგურის მშენებლობა) წინადადების ჩათვლით შეადგინა 35,770,606.08 ევრო. შესაბამისად, იმავე წლის 22 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება #ET-SS-02 შპს „ენერგოტრანს“-სა და „SIEMENS AG Osterreich“-ს შორის „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების - 500/400/220 კვ.-ანი ქვესადგურების მშენებლობის შესახებ.

კონტრაქტის ეფექტურობის თარიღია 13 სექტემბერი 2010 წელი. დასრულების ვადა 2013 წლის მარტი.

ხელშეკრულების შესაბამისად „SIEMENS Austria“-ს 2010 წლის 07 სექტემბერს ჩაერიცხა სახელშეკრულებო ღირებულების 20% ავანსის სახით, რაც შეადგენს 7,154,121.21 ევროს.

საპროექტო სამუშაოები დაწყებულია, მიმდინარეობს ტექნიკური მონაცემებისა და საპროექტო დოკუმენტების შეთანხმება.

2.2 C პაკეტი

2010 წლის 04 მაისს, 12 საათსა და 30 წუთზე ენერგოტრანსის სათაო ოფისში განხორციელდა C პაკეტის სატენდერო წინადადებების გახსნა. სამი კომპანიიდან, რომელთაც მოპოვებული ჰქონდათ ტენდერში მონაწილეობის უფლება, სამივე დაესწრო და მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ ტენდერში: ABB (Sweden), AREVA (Germany) და SIEMENS AG (Germany). ქვემოთ მოცემულია სატენდერო წინადადებების გახსნისას წარმოდგენილი

ფასები (ყველა წინადადება წარმოდგენილია ადგილობრივი გადასახადების გარეშე და სპეციალური დაზღვევის ECA-s გათვალისწინებით):

- | | |
|-------------------------|----------------------|
| 1. ABB (Sweden) | - 147,597,000.00 EUR |
| 2. AREVA (Germany) | - 161,413,500.00 EUR |
| 3. SIEMENS AG (Germany) | - 132.159,825.00 EUR |

2010 წლის ივლისის თვეში კონსულტანტის (ფიხტნერის) მიერ წარმოდგენილ იქნა „Evaluation Report“-ი, რომლის მიხედვითაც ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა კომპანია SIEMENS AG Germany, რომლის დაზუსტებულმა საკონტრაქტო ღირებულებამ შეადგინა 133,864,025.00 ევრო. შესაბამისად, იმავე წლის 23 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება #ET-B2B-03 შპს „ენერგოტრანს“-სა და „SIEMENS AG Germany“-ს შორის „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების - 500/400 კვ.-ანი მუდმივი დენის ჩანართის მშენებლობის შესახებ.

კონტრაქტის ეფექტურობის თარიღია 1 სექტემბერი 2010 წელი. დასრულების ვადა 2013 წლის მაისი.

საპროექტო სამუშაოები დაწყებულია, მიმდინარეობს ტექნიკური მონაცემებისა და საპროექტო დოკუმენტების შეთანხმება.

ფინანსური მდგომარეობა 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და დაფინანსების წყაროს მიხედვით. (დანართი 1)

3. სოციალური და გარემოსდაცვითი შეფასება

საქართველოს კანონებისა: “garemos dacvis Sesaxeb”(1996-2007ww), “garemoze zemoqmedebis nebarTvis Sesaxeb” (1996-2007ww) და saerTaSoriso sakredito organizaciebTan (EBRD¹, EIB², KfW³) gaformebuli xelSekrulebebis Tanaxmad Seswavlili iqna Savi zRvis regionaluri electrogdacemis proeqtis bunebriv da socialur garmoze zemoqmedeba da Sedgenili iqna proeqtis garemoze zemoqmedebis Sefasebis dokumenti, romelic pasuxobs rogorc saqarTvelos kanonmdებობის და aRniSnuli sakredito organizaciebis garemosdacviTi politikis aseve evrokavSiris sabWos Sesabamisi direqtivebis moTxovnebs (direqtiva 97/11/EC evrokavSiris sabWo 1985; 1997)

Seswavlebis gansaxorcieblad daqiravebuli iqna wamyvani sainJinro/samSeneblo/sakonsultacio kompania Black & Veatch Special Projects Corp. (kontraqtis №: C18507) kvlebebis procesSi ramdenime alternatiuli derefnis gaswvriw Sewavlili iqna bunebrivi da socialuri garemo gamoyofili iqna gansakuTrebulad mgZnobiare monakveTebi და proeqtis samSeneblo და operirebis fazebis garemoze zemoqmedebis faqtorebis gaTvaliswinebiT dadgenili iqna zemoqmedebis Tavidan

¹ evropis rekonstruqciisa და ganviTarebis banki

² evropis sainvesticio banki

³ rekonstruqciisa და ganviTarebis banki

აცილებია, საკომპენსაციო და სემარბილებელი რიზების, შესაბამისად განსაზღვრული იქნა როგორც საინჟინრო/საექსპლუატაციო ასევე გარეშე ზემოქმედების ტრანსპარენტული დერეფანი.

2009 წლის განმავლობაში კომპანიის სოციალური ჯგუფის მიერ ხდებოდა სექტორული მარკეტის გასწავლილი მოსახლეობის ან/და ა/ო-ს და სხვა დაინტერესებულ პირების⁵ რომელიმე განმარტებული პროექტის განხორციელების მიზნები და გადასაწყვეტი ამოცანები.

როგორც ამას საკარტველ კანონმდებლობა იტრიალებს პირველ ეტაპზე მომზადებული იქნა დოკუმენტის სამუშაო ვარიანტი, შემდგომ ეტაპზე ყველა დაინტერესებულ მხარეების კომენტარების დამუშავებისა და განხილვის შემდეგ გარეშე დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვარდგინა პროექტის გარეშე ზემოქმედების ვარიანტი, რომელიც მის მიერ დამტკიცებული იქნა 2010 წლის 25 მაისს.

⁴ სოციალური შეფასების ჯგუფმა გადამცემი ხაზის დერეფანში სულ 16 სოფელი მოინახულა. ამ შეხვედრებზე მოსულ 400 კაცს წარედგინა პროექტი. გამოკითხული იქნა ასევე რამდენიმე ათეული კაცი

⁵ 2009 წლის 27-28 მარტს გუდაურში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ ენერგეტიკის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლები და აგრეთვე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია (ა/ო) - კავკასიის გარემოსდაცვით ა/ო-თა ქსელი, ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრი, შპს გეოსაინფორმაციო ლაბორატორია და მწვანეთა მოძრაობა.